



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150  
0112 თბილისი, საქართველო  
+995 32 2439503 / +995 32 2439510  
info@nea.gov.ge  
nea.gov.ge

06 სექტემბერი 2024



N 21/9571

## შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯიას“

მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ავთანდილ ვარაზის ქ. N101, შენობა N10

### სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №8393 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქ. №5-ში პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:


- კუმულაციური ზემოქმედების თავში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, მსგავსი ტიპის საწარმო არ გვხვდება და შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება არ განიხილება. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა გადამოწმებით, საპროექტო საწარმოს სამხრეთით ესაზღვრება შპს „პოლიეთილენის“ პოლიეთილენის პარკებისა და პოლიპროპილენის ტომრების დამამზადებელი ობიექტი, აღმოსავლეთით, დაახლოებით 100 მეტრში, ფიქსირდება შპს „ექსპერიმენტის“ პოლიმერული ნაკეთობების დამამზადებელი საწარმო, ხოლო დაახლოებით 390 მეტრში – შპს „ჯეოკეპის“ პოლიმერული მასალების საწარმო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით. გარდა ამისა, დოკუმენტში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ასევე უნდა შეფასდეს კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო საწარმოში გათვალისწინებულ ტექნოლოგიურ ხაზზე ნარჩენების აღდგენა სრულდება პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გრანულების მიღებით და პლასტმასის პროდუქციის, ნაკეთობების ან/და რაიმე სახის დეტალების დამზადებას ადგილი არ აქვს. თუმცა, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერის თავში მითითებულია, რომ საწარმოო ხაზი იყოფა ორ ნაწილად: პირველადი (არასახიფათო ნარჩენების) წინასწარი დამუშავების ხაზი, ასევე, ნარჩენების მეორადი გადამუშავების (ნარჩენების აღდგენა – გრანულირება) და პროდუქციის წარმოების ხაზი. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ საპროექტო საწარმოში გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, რისთვისაც მოეწყობა სამსექციანი ჰორიზონტალური სალექარი. ამასთან, ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის აღწერაში მითითებულია, რომ ადგილზე მოეწყობა სამნაწილიანი ფილტრაციის აუზები (მარტივი ტიპის ჰორიზონტალური გამწმენდი ნაგებობა). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის გათვალისწინებული ობიექტის ტიპი და GPS კოორდინატები;

- ზოგად მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ ობიექტზე საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო იქნება დაახლოებით 5-10 სამუშაო დღე, ხოლო საწარმოს მოწყობის სამუშაოების გეგმა-გრაფიკის თავში მითითებულია, რომ ობიექტის მოწყობა-მომზადებისთვის საჭირო იქნება 2-3 სამუშაო დღე, რაც საჭიროებს კორექტირებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის დიდი ნაწილი ეთმობა არარელევანტურ საკითხებს, მათ შორის, დოკუმენტში განხილულია სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების, პერსონალის ტრავმატიზმის ან მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების დროს რეაგირების საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

მაია ბერაძე



სააგენტოს უფროსი - მ.მ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/9571-21-2-202409061727>

